

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მაიპისი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	234709	59330	51589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35643	45655	37243
ავანსად გაცემული ფულადი სახსრები	424	466	3465
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	343444	263147	252355
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	283	5358
მოკლევადიანი აქტივები	614220	368881	350010
ძირითადი საშუალებები	906001	878344	845159
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1184	3179	2895
გრძელვადიანი აქტივები	907185	881523	848054
სულ აქტივები	1521405	1250404	1198064
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	149400	93133	159021
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14333	30196	30208
მოკლევადიანი ვალდებულებები	163733	123329	189229
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	60208	91675	144928
სულ ვალდებულებები	223941	215004	334157
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	934238	672174	500681
საწესდებო კაპიტალი	363226	363226	363226
სულ საკუთარი კაპიტალი	1297464	1035400	863907
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1521405	1250404	1198064

ნატალია ქვარიანი

მარინე ბუცხრიკიძე

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მთლიანი ამონაგები	1836229	1687719	1317399
საქონლის გაყიდვიდან	1660806	1537539	1186597
მომსახურების გაწევიდან	175423	150180	130802
გაყიდვების თვითღირებულება	-1098275	-1176778	-890380
საერთო მოგება	737954	510941	427019
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12808	2396	7742
დასაქმებულთა ანაზღაურება	-169235	-134201	-122347
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-76034	-46336	-37931
საპროცენტო ხარჯი	-3655	-6448	-10642
იჯარის ხარჯი	-75000	-45000	-45000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-164774	-108607	-47315
სულ საოპერაციო ხარჯები	-475890	-338196	-255493
საოპერაციო მოგება	262064	172745	171526
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-1252	759
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1297464	1035400	863907

ნატალია ქვარიანი

მარინე ბუცხრიკიძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი გაყიდვებიდან და გაწეული მომსახურებიდან	2277715	1741700	1566566
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-1604590	-1453822	-1284001
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-169235	-104660	-93367
გადახდილი გადასახადები	-155142	-39447	-32422
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	348748	143771	156776
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისთვის	-105030	-76471	-78947
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-105030	-76471	-78947
საფინანსო საქმიანობა			
სესხის ძირის გადახდა	-57059	-53252	-62860
სესხის პროცენტის გადახდა	-3655	-6448	-10642
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-60714	-59700	-73502
ფულადი ნაკადების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	183004	7600	4327
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	59330	51589	47236
სავალუტო კურსის ეფექტი	-7625	141	26
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	234709	59330	51589

შპს მაიპისი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაიპისი“ (შემდეგში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 15/10/2013 წელს, ს/კ - 412694071.

საწარმოს 100% წილის მფლობელია ქ-ნი ნატალია ქვარიანი.

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ს.ისიანის ქ. #9. საწარმო საქმიანობას ახორციელებს ორ ობიექტზე, კერძოდ: ქ. ქუთაისში ფანჯიკიძის ქ. #28-ში და სულხან-საბას გამზ. #10-ში. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა (საკანცელარიო, საოფისე და სასკოლო ნივთების რეალიზაცია), კომპიუტერული ტექნიკით მომსახურება. დამატებითი საქმიანობაა სულხან-საბას გამზ. #10-ში მდებარე კომერციული ფართების იჯარით გაცემა და ფანჯიკიძის ქ. #28-ში სასტუმროს მომსახურება.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობასა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტას და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები

აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვისთვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი. სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. საწარმო ცვეთის დარიცხვას ახდენს კალენდარული წლის ბოლოს.

აქტივების თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი (1)

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში , გარდა იმ შემთხვევისა , თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის

აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ქონია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს. საწარმოს მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას გათვალისწინებულია ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები (2)

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. ჩვეულებრივ, სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყონებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარება. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის (3)

შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით (4), ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით (8)

კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის, მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს, რომელსაც დაემატება საწარმოს საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ნაწილი,რაც რჩება საწარმოს დამფუძნებლისთვის დივიდენდის გადახდის შემდეგ.

1. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობები	ოფისის ადრევილობა და ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
31 დეკემბერი 2021	126733	665663	11008	66533	8407	878344
შემოსვლა	-	75883 *	7971	19837	-	103691
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვლილება	-	56185	4826	13678	1345	76034
31 დეკემბერი 2023	126733	685361	14153	72692	7062	906001

* 2023 წლის ოქტომბერში კომპანიამ მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე (ლანჩხუთის რ-ნი, სოფ. წყალწმინდა, საკადასტრო კოდი 27.16.41.442) დაიწყო სასტუმროს შენობის მშენებლობა. დაუთმავრებული მშენებლობის ხარჯმა 2023 წ. 31 დეკემბრისთვის შეადგინა 75883 ლარი.

2. ფულადი სახსრები

ნაღდი ფული სალაროში ლარი	22182
ფული საბანკო ანგარიშზე ლარი	18572
ფული საბანკო ანგარიშზე USD	188249 *
ფული საბანკო ანგარიშზე EUR	5706
სულ:	234709

* 2023 წლის დასაწყისიდან კომპანიამ სამომავლო გეგმების განსახორციელებლად დაიწყო უცხოურ ვალუტაში (USD) ფულადი სახსრების დაგროვება საბანკო ანგარიშზე. ოქტომბრის თვეში 69996,64 \$ გადატანილ იქნა სადეპოზიტო ანგარიშზე 1 წლის ვადით. საკურსო სხვაობამ შეადგინა ზარალი 1106 ლარი.

3. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები გაყიდვებიდან და კომპ. მომსახურებიდან	28443
საიჯარო მოთხოვნები	7200
სულ	35643

4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სარეალიზაციო საქონელი	343444
ნედლეული და მასალები	0
სულ	343444

5. გრძელვადიანი სესხი

სესხის #	ვალუტა	ნაშთი ექვივალენტი ლარში	%	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი
5934358	EUR	60208	4.30 %	28.12.2018	27.12.2024

6. საფაქრო და სხვა ვალდებულებები

მომწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	147774
მიღებული ავანსები	1626
გადასახდელი ხელფასები	14333
სულ	163733

7. ამონაგები

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	1660806
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	138601
საიჯარო შემოსავალი	36822
სულ	1836229

8. თვითღირებულება

გაყიდული პროდუქცია	1098275
--------------------	---------

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

შრომის ანაზღაურება და დარიცხული სხვა ხარჯი (2%)	169235
საიჯარო ხარჯი	75000
საოფისე ტექნიკის რემონტი	106
ძირითადი საშუალების ცვეთა	76034
ბანკის მომსახურების საკომისიო	7077
კომუნიკაციის ხარჯი	2727
საკანცელარიო ხარჯი	4587
სამეურნეო ხარჯი	2370
ავტომანქანისა და საწვავის ხარჯი	14418
სატენდერო ხარჯი	2115

სავალუტო ოპერაციებით გამოწვეული ხარჯი	7625
კომუნალური და სხვა საერთო ხარჯები	123749
სულ	485043

10.ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	3656
------------------	------